ფეხბურთი

2 მაისს მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკში, თბილისში, კუიბიშევში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მეხუთე ტურის კალენდარული მატჩები "ა" კლასის გუნდებისათვის.

თბილისში ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და ერევნის "დინამოს" გუნდები. მატჩის დასაწყისშივე თბილისელებმა სწრაფი ტემპი განავითარეს, მე-3 წუთზე მარჯვენა გარემარბ ჯოჯუას მიერ მოულოდნელად დარტყმული ბურთი ზევიდან მოხვდა კარის ძელს და ერევნელები გადარჩნენ მარცხს. თბილისელები დიდხანს უტევდნენ სტუმრებს და ბურთის გატანის შესაძლებლობაც არაერთხელ ჰქონდათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კარში დარტყმის სრულ უუნარობას იჩენდნენ. დრო და დრო ერევნელებიც ახერხებდნენ თბილისელთა დაცვის გარღვევას, მაგრამ არც მათ იერიშებს მოჰყოლია რაიმე შედეგი. მეორე ტაიმი თბილისელთა კიდევ მეტი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრების საჯარიმო მოედანზე ერთ-ერთი არეულობის დროს, ერევნელმა დამცველმა ხელით მოიგერია ბურთი, მაგრამ მსაჯმა რუდნევმა (მოსკოვი) რატომღაც "ვერ შეამჩნია" ეს გარემოება. 10 წუთის შემდეგ საჯარიმო მოედნის ხაზზე ამჯერად უკვე თბილისელი დამცველი შეეხო ხელით ბურთს. რუდნევმა არც ახლა შეამჩნია (ალბათ, წონასწორობის აღსადგენად). შეხვედრა დამთავრდა ფრეედ 0:0.

ა. გოგოლაშვილი.
"კომუნისტი", 4 მაისი 1950 წ.